ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 222 (20968) ხუთშაბათი, 27 სექტემბერი, 1990 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საკითხები, რომლებიც საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს 25 სექტემბრის სხდომაზე იყო გამოტანილი, დიდად აწუხებს ყველას: მოსავლის დროული და უდანაკარგოდ აღება, სუფრათ-სანოვაგით რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფა, საბითბით მომარაგება... განა დღეს არის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები? ამიტომ ბუნებრივია, რომ ადამიანები ცხარედ იხილავენ მათ, ამასთან ბევრ უანლოესი მომავლის არეთუ სასიხარულო პერსპექტივებს. პრინციპული დისკუსია დაწყო ამ საკითხების გამო პრეზიდიუმის სხდომაზეც.

ყურძნის, ჩაის, ციტრუსის, სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი გვაიმედებს, მაგრამ შევძლებთ მოწეულის დაკრეფასა და გადამუშავებას? ახლი მოსავალის ხილი და ბოსტნეული, აგრეთვე მთგან დამზადებული კონსერვი ხომ მარტო მოპარაობისათვის არ არის განკუთვნილი. ეს მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო რესურსია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში. ზოგიერთი რესუბლიკიდან მომდინარე წინადადებანი, რომ გავცვალოთ „მანდარინი მარცვლეულში“ ან „ჩაი — კარაქში“ შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს საბაზრო მნიშვნელობის პრობლემათა გადაჭრაში. მაგრამ ბეეუოფ კი ეს რესურსები იმისათვის, რომ საჭირო რაოდენობის მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები მივიღოთ? ამიტომ დღეს ძალზე საჭიროა არ დავუშვათ მოსავლის აღებაში დანაკარგები, სრულად შევინარჩუნოთ მოწეული. ამისთვის, აღინიშნა სხდომაზე მეურნეობათა და გადამამუშავებელ დარგთა ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ მოქმედების ზუსტი კოორდინაცია, ხელსუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა კი საქმიანობის შემთხვევაში გამოაცხადონ საგანგებო მდგომარეობა რეგიონში, დარაზმონ მთელი ძალები ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად.

ყური, ხორცი, კარაქი... ამ ელემენტარული პროდუქტების სახელები ზოგჯერ შეშფოთებით გაიხსენება სხდომაზე. გვეკითხება თუ არ წლევანდელ ზამთარში ეს პროდუქტები? მართალია, საქართველოში პირით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით შეფერხებები არ ყოფილა, მაგრამ შესარულებენ თუ არა მარცვლეულის მწარმოებელი რესპუბლიკები თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს ახალ პირობებში? შეძლებენ თუ არა საერთოდ „მოვრჩეგდეთ“ ჩვენთვის საჭირო მიწოდებათა თაობაზე? აი, აქ უნდა გამოვლინდეს ხელმძღვანელთა კომერციული საზრიანობა, უნარი — იმოქმედონ დამოუკიდებლად, „ზემოდან“ დაბმარებაზე იმედის დაუმყარებლად.

ჩვენ კი თავად რა გვაქვს? თუმცა წელს მარცვლეულის მოსავალი ცუდი არ ყოფილა, მაგრამ საქართველოს შექმნილი ეკონომიური სტრუქტურების გამო, არ ეძლევა უზრუნველყოს საკუთარი მოხმარებლები პურზე. ანალოგიური ვითარებაა ხორცთან და რძესთან დაკავშირებით, რომელთა წარმოება უკანასკნელ ხანს შეეფარდა კიდეც. ვითარების არეულებს ზოგიერთი კოოპერატივის საქმიანობა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს უშუალოდ სოფლის მოსახლეობისაგან ყიდულობენ და რესუბლიკის ფარგლებს გარეთ ასაღებენ. როგორ ავიცილოთ თავიდან შესაძლო შეფერხებები ამ და სხვა პროდუქტებით რესპუბლიკის მცხოვრებთა მომარაგებაში?

სხვაგვარი იყო სხდომის მონაწილეთა წინადადებანი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდი ფასების მომატება, დეფიციტური საქონლის განაწილების გზით სოფლელთა საქმიანობის სტიმულირება, იქნება ეს თუ პასპორტით ზოგიერთი სასურსათო ნაწარმის ვაჭრობის ორგანიზაცია, როგორც ეს ხდება ქვეყნის ზოგიერთ სხვა რესპუბლიკასა და ცალკეულ ქალაქებში. დაისვა ასეთი წინადადებაც, რომ გასატან პროდუქციაზე შემოიღონ გადასახადები. მაგრამ ამ წინადადებებს კონსტრუქციულსა და ახალს ვერ ვუწოდებთ, აღინიშნა სხდომაზე. დარგების ხელმძღვანელები კვლავინდებურად ამჯობინებენ დასვან პრობლემები და არ ეძებონ კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზები, ის, რომ იგი აუცილებლად წარმოიქმნება, შეიძლებოდა წინასწარ გაგვეთვალისწინებია და მოვმზადებულიყავით. ეს გამოიწვია აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე დისტრუქციულმა პროცესებმა, სამეურნეო ურთიერთობის დესტაბილიზაციამ. დარგების უუნარო ხელმძღვანელობა ხშირად ხელოვნური დეფიციტის მიზეზი ხდება.

აი, სულ ახალი მაგალითი — კვერცხის ნაკლებობა. რით არის იგი გამოწვეული? ამაში ჯერ კიდევ უნდა გავერკვეთ. მაგრამ ცხადია ერთი რამ — ამ დეფიციტისათვის ობიექტური მონაცემები არ არის. მისი შექმნის მიზეზები კი შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებინა და დროულად აგვეცილებინა თავიდან. სწორედ ამიტომაც აქვთ ახლა დარგებს, სამინისტროებსა და უწყებებს მინიჭებული სამეურნეო დამოუკიდებლობა. ბევრ ხელმძღვანელს კი დღემდე ვერ შეუგნია, რომ მინიჭებული დამოუკიდებლობა უნარეს ყოველისა ნიშნავს პასუხისმგებლობას საქმის ვითარებისათვის, უნარს — მიიღოს არაორდინალური გადაწყვეტილებანი, იპოვოს გამოსავალი კრიზისული სიტუაციებიდან.

სხდომის მონაწილეებმა შეშფოთებით აღნიშნეს, რომ რთული ვითარებაა სათბობთ სახალხო მეურნეობის ობიექტების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. გასაკუთრებით საჭიროა არ დავუშვათ შეფერხებები სოფლისათვის საწვავის მიწოდებაში. მთავრდება ჩაის კრეფა, მიმდინარეობს სხვა კულტურების ინტენსიური აღება, ხან რთველი, ციტრუსების მოსავლის აღებაა და თუმცა ახლა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, გადამამუშავებელი საწარმოები საკმარისად არიან უზრუნველყოფილი სათბობითა და საპოხი მასალებით, მაგრამ ამ საკითხს მუდმივ კონტროლს უნდა გუწევდეთ.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ალავერდის ტაძრის რესტავრაციის მიმდინარეობა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი. (საქინფორმი).

„მეტეხის“ სართულები

დაჯმთავრა რა ძირითადი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, სასტუმრო „მეტეხის“ მშენებელთა კოლექტივმა დაიწყო შენობის ფასადის, ინტერიერების მოპირკეთება. 1991 წლის 1 აპრილისათვის იგი პირველ სტუმრებს მიიღებს.

ახალ კომფორტულ სასტუმროში, რომელსაც აშენებს ავსტრიის ფირმა „აბც“ „ინეშენ“-თან ერთად, ჩამოხდებიან საქართველოს დედაქალაქის უცხოელი და საბჭოთა სტუმრები. მის 362 ნომერში ერთდროულად იცხოვრებს 720 კაცი.

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის საწარმო „მეტეხმა“ გამოაცხადა კონკურსი სასტუმროში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად. აქ სჭირდებათ მზარეულები, ოფიციანტები, დამლაგებლები, მოლარეები, მუშები, მძღოლები, თარჯიმნები — დაახლოებით ოთხასი კაცი.

სურათებზე: იზრდება ახალი სასტუმროს სართულები; ელექტრიკოსი კურტ შინკინდენი, უბნის უფროსი ზოთა ხვიჩია და მთავარი მექანიკოსი ეკალდ შტაიერი.

ბოლოდო დავლიშვილისა და ავთანდილ მაჰარაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



რთველის ქრონიკა

ძალაა იკრებს კახეთში რთველი. მოსავლის კრეფას შეუდგნენ საგარეჯოს რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებიც. აქ უნდა დაამზადონ სულ ცოტა 31.500 ტონა ყურძენი. წარმატებით იმუშავეს ახლახან შექმნილი აგროფირმა „მანავის“ მშრომელებმა, სადაც მოგვარებულია წარმოების დახშული ციკლი — ვაზის მოვლა-მოყვანით დაწყებული მზა პროდუქციის გამოშვებით დამთავრებული. მისმა დირექტორმა ნიკოლოზ საბაშვილმა გვაცნობა, რომ 600 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე დაგეგმილი აქვთ მიიღონ 60—70 ცენტნერი მოსავალი, რაც რამდენადმე აღემატება შარშანდელს.

კიდევ უფრო უხვი მოსავალი მოიწიეს საიჯარო კოლექტივებმა. მაგალითად, ბრიგადას, რომელსაც ნოდარ აფციაური ხელმძღვანელობს, განზრახული აქვს მოკრიფოს 80-90 ცენტნერი ყურძენი, მათ არც ის ბრიგადები ჩამორჩებიან, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გურამ რუსიშვილი, გივი ბორაშვილი და სხვები. სულ აგროფირმამ უნდა მოკრიფოს 4.300 ტონა ყურძენი, მაგრამ წინასწარი პროგნოზებით, იგი გადასამუშავებლად გაგზავნის დასახულზე მეტ ნედლეულს.

ორგანიზებულად გავიდნენ რთველში საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის, რაიონის სხვა მეურნეობების მშრომელებიც.

როგორც საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი იუწყება, 26 სექტემბრისათვის მთლიანად რესპუბლიკაში უკვე მოკრეფილია 80 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, ერთ დღეში მოკრეფილმა შარშანდელს გადააჭარბა და 12 ათასი ტონა შეადგინა. (საქინფორმი).

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

ადვილად როდი მიმდინარეობს საქართველოს მომავალ პარლამენტში დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანია. მრავალპარტიულ საფუძველზე არჩევნების კანონით მასში პირველად შატანილი პრინციპული სიახლენი წმინდა ორგანიზაციული ხასიათის ბევრ სერიოზულ პრობლემას სახავს. ამ პრობლემების წრის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კამპანიის მოწყობასთან დაკავშირებული მთელი რიგი პროცედურული საკითხების განხილვას მიეძღვნა კიდევ 25 სექტემბერს გამართული ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. ამასთან, სჯობსაა გაიმართა არა მარტო მისი ახლანდელი ეტაპის დროს გამოვლენილ პრობლემებზე, რომლებიც ოპერატიულ გადაწყვეტას მოითხოვს, არამედ იმაზეც, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მომავალში.

როგორც დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა შალვა გვარამაძემ თქვა, არჩევნების მონაწილე რვაეე პარტიამ და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და ექვსმა საარჩევნო ბლოკმა უკვე წარმოადგინეს თავიანთი კანდიდატების სიები — თითოეულ მთგანში, როგორც კანონით არის გათვალისწინებული, დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი ას ოცდახუთზე ნაკლები არ არის და არ აღემატება ორას ორმოცდაათს. ახლა მთავრდება ამ სიების შემოწმება. ამ მუშაობის პროცესში, სამწუხაროდ, ვლინდება ცალკეული ხარვეზები, უზუსტობანი ამა თუ იმ დეპუტატობის კანდიდატის გვარის, სახელის, მამის სახელის, დაბადების თარიღის, პროფესიის, თანამდებობის, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილის, პარტიულობის აღნიშვნაში. ბევრი სირთულე იქმნება იმით გამოვლინებასთან დაკავშირებითაც, ვინც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში, კანონით განსაზღვრული 10 წლის მანძილზე. სხვათა შორის, აქ კომისიას დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, მისი ადგილობრივი სამსახურები, რადგან ეს დაზუსტება ძალზე შრომატევადი საქმეა.

ამასთან, როგორც ცნობილია, პარტიული სიის წარმოდგენის მომენტიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იგი რეგისტრაციაში უნდა გაატაროს. ეს კი ნიშნავს, რომ უკვე 27-28 სექტემბერს ყველა სიის რეგისტრაცია უნდა დამთავრდეს. მაგრამ თუ აღმოჩნდება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, კომისიამ ეს უნდა აცნობოს შესაბამის პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით. და მხოლოდ მათი გასწორების, საბოლოო დაზუსტების შემდეგ სიები კვლავ წარედგინება კომისიას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს არჩევნებამდე არა უგვიანეს 25 დღისა, ესე იგი 3 ოქტომბრამდე.

როგორც პარტიული სიების ფორმირების პროცედურის, ისე საარჩევნო ოლქების მიხედვით დეპუტატობის კანდიდატთა წარმოდგენისა და რეგისტრაციის მხრივ სხდომაზე განიხილეს ბევრი საკითხი. ყოველმხრივი განხილვის საგანი ხდებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსული ყოველი განცხადება. თითოეული მთგანის მიხედვით კომისია იურისტთა აზრის გათვალისწინებით იღებდა კონკრეტულ გადაწყვეტილებას. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საკითხი დამატებით შესწავლას მოითხოვდა, გამოიყოფოდა სპეციალური ჯგუფი მისი დეტალური დამუშავებისათვის.

წინასაარჩევნო კამპანიის ერთი-ერთი ყველაზე პასუხსაგები ეტაპია საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა. გაანალიზეს რა ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის პირველი შედეგები, სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა გაითვალისწინონ საარჩევნო კომისიების [illegible] ბის გაკვეთილები და გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით მიღებულია გადაწყვეტილება ადგილებზე გავზავნოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ სპეციალურად მომზადებული წერილი საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის ზოგიერთ საკითხზე.

პრინციპული უთანხმოება წარმოიქმნა სხდომაზე იმ საკითხის განხილვის დროს, თუ ადგილებზე კონკრეტულად ვინ უნდა განკარგავდეს საარჩევნო კამპანიის მოწყობისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს. საქმე ის არის, რომ წინათ ამ ფუნქციას მუდამ ასრულებდნენ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები. მაგრამ ამჯერად მთელი რიგი საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა საკითხი სხვაგვარად დასვეს — შესაძლებლობა მიეცეთ თვით კომისიებს განკარგონ მიცემული ფინანსები, გახსნან ამ მიზნით კომისიათა ანგარიშები ბანკის ადგილობრივ განყოფილებებში.

ამ საკითხზე ცენტრალური საარჩევნო კომისია მაინც ვერ მივიდა ერთიან გადაწყვეტილებამდე: შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ორი დღის განმავლობაში გამოარკვიოს ყველა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა აზრი, ერთხელ კიდევ მოეთათბიროს საფინანსო და საბანკო მუშაკებს და წარმოადგინოს თავისი რეკომენდაციები.

სხდომაზე განხილულ აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის წესი არჩევნების მომზადებასთან და მოწყობასთან დაკავშირებით, პლაკატების, საარჩევნო ბლანკების და სხვა დოკუმენტების დამზადებასთან დაკავშირებული საკითხები.

(საქინფორმი).

გამაფრთხილებელი გაფიცვა

გუშინ, შუადღისას, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რამდენიმე ხნით შეწყდა მუშაობა. დაცარიელდა ჩასაწერად მუდამ გამზადებული სტუდიები, მინელდა ფუსფუსი დერეფნებსა და განყოფილებებში, უჩვეულო სიჩუმემ დაისადგურა ირგვლივ.

სამაგიეროდ ხალხმრავლობა იყო შენობის წინ, სადაც თავი მოიყარეს სხვადასხვა რედაქციის ჟურნალისტებმა, კომენტატორებმა, დიქტორებმა, კომიტეტის მრავალრიცხოვანი კოლექტივის ყველა სამსახურის წარმომადგენლებმა. მათ მოაწყვეს ხანმოკლე გამაფრთხილებელი გაფიცვა, რომელიც ტელერადიოკომიტეტის მუშაობაზე ყოველგვარი დიქტატის, ზეგავლენის წინააღმდეგ იყო მიმართული.

შეკრებილებმა შუშფოთება გამოთქვეს ბოლო დროს მათ მიმართ მოხშირებული აქციების, პიკეტებისა და ძალადობის გამო. აღნიშნეს, რომ ეს ხელს უშლის კომიტეტის მუშაობას, შეურაცხყოფს მისი პატრიოტულად განწყობილი კოლექტივის ეროვნულ, მოქალაქეობრივ ღირსებებს.

— ჩვენ ვართ და ვიქნებით საქართველოსთან ერთად, გავაკეთებთ იმას, რაც ხალხს, ქართველ ერს სჭირდება, — თქვა საქტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარემ არჩილ გოგელიამ, — ამიტომ მიუღებლად მიგვაჩნია ნებისმიერი დიქტატი, კომიტეტის მუშაკთა შეურაცხყოფა, მათზე გავლენის ცდები...

სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე რადიოს ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილე გოგი ჩოკოშვილი, სპეციალური კორესპონდენტი ეთერ ჭიჭინაძე. კომიტეტის გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე კიმი ალიაშვილი, სოციოლოგიური კვლევისა და პროგნოზირების რედაქციის მთავარი რედაქტორი ვალერი კვარაცხელია და სხვები.

წაიკითხეს ტელერადიოკომიტეტის თანამშრომელთა მიმართვა ქართველი ერისადმი, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

არა გვგონია, საქართველოში ისეთი ქართველი მოიძებნოს, რომელსაც თავისი ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა არ უნდოდეს. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იღვწის ყველა, მათ შორის ტელევიზია და რადიო. ეს პროცესი იმდენად აშკარაა, რომ მას მხოლოდ ძალზე სუბიექტურად და ტენდენციურად განწყობილი ადამიანი ვერ შეამჩნევს. ადრე საქართველოს ტელევიზია და რადიო ოფიციალური ორგანოების ნებასურვილის აღმსრულებელი იყო, მათს პირდაპირ თუ ირიბ დიქტატს ლისწამების, მითქმა-მოთქმისა და ჭორის გავრცელების წყარო.

როცა ქართული ტელევიზია და რადიო ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ გაერთიანებას მიკროფონს უთმობს, ეს არ ნიშნავს, თითქოს რომელიმე მათგანის მოსაზრებას უპირატესობას ანიჭებდეს. ჩვენ ხომ საერთო ეროვნული დაწესებულება ვართ. შესაძლებელია თვით პოლარულად განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა, ოღონდ დაპირისპირების, შეურაცხყოფისა და მუქარის გარეშე.

ვიმედოვნებთ, შეწყდება უკვე თავისებურ რიტუალად ქცეული პიკეტები, რომელთა მონაწილეებს არა აქვთ ნათლად გაცნობიერებული, რომ ასობით და ათასობით ადამიანის სისტემატური თავშეყრა ტელევიზიის შენობასთან სხვა არა არის რა, თუ არა პატრიოტულად და ეროვნულად განწყობილი კოლექტივის დაუმსახურებელი შეურაცხყოფა, ნებისთ თუ უნებლიეთ ტელევიზიისა და რადიოს ნორმალური მუშაობის რიტმის დარღვევა და თვით ელემენტარული ადამიანური უფლებების ხელყოფაც. იმის გარდა, რომ ჩვენ რადიო-ტელევიზიის მუშაკები ვართ, არავინ ნაკლებ პატრიოტებად არ მიგვაჩნია თავი.

სრულყოფილი პროგრამების მომზადებისათვის ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებს უზრნარესად ნორმალური სამუშაო ატმოსფერო სჭირდებათ.

არავის არა აქვს უფლება მოგვშალოს სიმშვიდე, თავს დავკიდებოს პიკეტები და უსაფუძვლო პრეტენზიები, მუქარა და თავდასხმა, ჩვენი ენერგია და უნარი ამ უიზრო და უმაქნისი კონფრონტაციისთვის კი არ უნდა იხარჯებოდეს, არამედ ქეშმარიტად ეროვნულ საქმეს ხმარდებოდეს.

ტელე-რადიოკომიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი აწყობს გამაფრთხილებელ გაფიცვას და

ამით პროტესტს უცხადებს ყველას, ვინც კი ცდილობს ძალისმიერი დაპირისპირებით ზეგავლენა მოახდინოს ჩვენს მუშაობაზე. ამიერიდან ნებისმიერი პიკეტი, ტელე-რადიოკომიტეტის ალყაში მოქცევა, შენობაში შეღწევის ცდები აღიქმება, როგორც კოლექტივთან დაპირისპირება და ჩვენი საქმიანობის დესტაბილიზაციისკენ მიმართული მოქმედება. ყოველ ასეთ გამოხდომას საქართველოს რადიო კომიტეტის მუშაკები გაფიცვით, რადიო და ტელემაუწყებლობის შეწყვეტით უპასუხებენ.

* * *

ტელერადიოკომიტეტის თანამშრომელთა მიმართვაში გამოთქმული გულისტკივილი საკმებით სამართლიანი და გასაზიარებელია.

სოსო გაღაშვილი.

საბაბრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის

რატომ გაძნელდა ქარხანაში მუშად მიღება?

ალბა ქარხანას მუშახელი უკარს, გამოცდილი მუშებიც კი ტოვებენ საწარმოს. წნორის მანქანათმშენებელ ქარხანაში კი უბრალო მუშად მიღება არათუ ადვილია, შეუძლებელიც კია. რატომ, რა ხდება?

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩვენთან პროტექციაც კი არ გასწევს, ვინმე მუშად რომ მივიღოთ? — ღიმილით გვეუბნება ქარხნის დირექტორი გივი ჯანიაშვილი. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ეს უძნელესი მაინც არაფერია. ამ ქარხნის პრესტიჟი და მშრომელთა სოციალური მდგომარეობა დირექტორსაც და სხვა ხელმძღვანელებსაც ხელფეს უბორკავს, რადგან ერთი კაციც რომ მივიღოთ, მუშის ხელფასზე უარყოფითად იმოქმედებს.

ამ დღეებში ჩვენგან წავიდა გამოცდილი ხარატი, ათი შვილის მამა ავთანდილ პავლიაშვილი. კოლეგენტივი ეგადაგვიდა...

— კი, მაგრამ თქვენ ხომ მას ეუბნებოდით?

— ალალი იყოს მასზე ხუთასი ულიან ხახლში მთელი სართული სამივე ბინა (სამოთახიანი, ოროთახიანი და ერთოთახიანი), ოც სოფელ ხორნაბოჯში ხუთოთახიან სახლს (თავისი საკარმიდამოთი) ეაუვედრით. რაიონის მშრომელებმა ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებიც შეუძინეს, ესეც ალალი იყოს. კარგად ვიცით, ათი შვილის მამას დღევანდელ პირობებში მაინც გაუჭირდებოდა ცხოვრება, კოოპერატივში კი, ალბათ, ურჩევნია, დრო მეტი ექნება შვილების აღსაზრდელად.

...და მართლაც, „ფაზისი-წნორის“ ფირმაში, რომელიც დასავლეთ გერმანიასთან ერთობლივი საწარმოა, მთავარი გეგმები კი არა, ადამიანია. ყურადღების ცენტრში მუშის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვაა. როცა მუშაკაცი კმაყოფილია, შრომაც ეხალისება.

— ბატონო გივი, ამჯერად შრომის შედეგზე ვილაპარაკოთ ეა მერე ისევ მუშაკაცის ცხოვრებას დავუბრუნდეთ.

— ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, რომ წლეულს რვა თვეში ნაცვლად 3 მილიონი მანეთისა 3 მილიონ 60 ათასი მანეთის საუკეთესო პროდუქცია გამოვუშვით — ისეთი, საწყობში რომ არ ჩერდება, მოგების დაკალება 117 პროცენტით შეგასრულეთ და მან 708 ათას მანეთს მიაღწია.

ფართო მოხმარების პროდუქციაც — ელექტროსალესავები მომხმარებელს გეგმის გადამეტებით ეგზავნება. ეს ალბათ, ბევრ ადამიანს ეკვირვებოდეს, ეს ალბათ, ეჭვიანობ, ეს ალბათ, ეჭვიანობ, ეს ალბათ, ეჭვიანობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაბრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის

ამჟამად ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ რესპუბლიკების პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლების უცილობელი პირობაა. ეკონომიკური სუვერენიტეტის რეალიზაცია საბა[illegible] ეკონომიკის პირობებში, [illegible]ლის წინაშეც ახლა ვდგავართ, განუზომლად მაღალ მოთხოვნებს უყენებს ეკონომიკის მართვისა და საქმიანობის სფეროს ყველა დონეზე — წარმოების პირველადი რგოლებით დაწყებული და სახელმწიფო ორგანოებით დამთავრებული. ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა პრაქტიკულად შეუზღუდავ შესაძლებლობებს და საშუალებებს უქმნის მუშაობის ინიციატივიანობისა და სტიმულირებას, და ამასთანავე შესაბამისად ზრდის პასუხისმგებლობას მიღებული გადაწყვეტილებებისა და მუშაობის შედეგებისათვის, რომლებშიც კომპლექსურად არის ასახული წარმოების დანახარჯები, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები, სპეციალისტების კვალიფიკაცია, პროდუქციის ხარისხი და სტრუქტურა, საქმიანი კონტაქტები მოკავშირე რესპუბლიკების და საზღვარგარეთის საწარმოორგანიზაციებთან, ფირმებთან და ა. შ.

მეორე მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველი უნდა გახდეს მისი ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჩამოყალიბება, რაც უწინარეს ყოვლისა მიმართული იქნება ამ ქვეყნის ძირეული ინტერესების რეალიზაციისკენ. ამასთან, არსებული რეალობიდან გამომდინარე, როგორც ეკონომისტი სპეციალისტების დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, ერთიანი საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსიდან გამოყოფა და საქართველოს ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შექმნა არ მოასწავებს საბჭოთა კავშირთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის გაწყვეტას და ემყარება თანასწორი ურთიერთობების შენარჩუნებას მსოფლიოს ეკონომიკაში ჩართვის პარალელურად.

სუვერენული რესპუბლიკის ეკონომიკის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ენიჭება სახალხო მეურნეობის დარგების ოპტიმალურ სპეციალიზაციას, რომელიც უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, როგორც ძველი სახალხო-სამეურნეო კომპლექსისათვის, ასევე ცალკეული დარგების მიხედვით. ეს კრიტერიუმები ქმნიან საყოველთაო და ურთიერთდაკავშირებულ ირეარული სისტემას, რომელიც გამოხატავს ძირითად განმაზოგადებელ მოთხოვნებს განსახილველი ობიექტის შინაარსობრივი საფუძვლების მიმართ.

რეგულირებადი საბაზრო ურთიერთობების პირობებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის საჭირო დარგობრივი და შიდადარგობრივი სპეციალიზაციის სახელმწიფო ორგანოების დონეზე განსაზღვრისას, რეგულირების საგანი უნდა გახდეს, როგორც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოშია მიღებული, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში (მათ შორის მოკავშირე რესპუბლიკების მიმართაც) ჩაბმა და ოპტიმალური დარგობრივი და შიდადარგობრივი სპეციალიზაციის საკითხების გადაწყვეტა. ამის საფუძველზე განსაზღვრული პროდუქციის სახეები ქმნიან ე. წ. საყრდენ ბაზას რესპუბლიკის დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის.

საქართველოს ეკონომიკის პერსპექტიული განვითარების განსაზღვრაში წამყვანი როლი ეკუთვნის ისეთი დარგების სწორ სპეციალიზაციას, როგორიცაა ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, წიაღისეული რესურსების დამუშავება და სხვა. ჩვენ შევეხებით რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის სპეციალიზაციის ზოგიერთ ასპექტს, რომლის განვითარების ძირითად კონცეფციად მიგვაჩნია ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებაზე ორიენტირებული დარგების (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო მანქანათმშენებლობის), აგრეთვე მეცნიერებათტევადი დარგების (ხელსაწყოთმშენებლობის, მიკროელექტრონიკის, ელექტროტექნიკის) პრიორიტეტული განვითარება და მანქანათმშენებელ საწარმოთა ორიენტაცია მცირე მასალატევადობისა და ენერგოტევადობის პროდუქციის გამოშვებაზე. მოცემული კონცეფციის რეალიზაციის პირობები უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის კრიტერიუმებს შემდეგი სქემის შესაბამისად: „მიზანი — რესურსები — ეფექტიანობა“.

სქემის პირველი რგოლი — — „მიზანი“ ასახავს გარკვეული დანიშნულების პროდუქციაზე საზოგადოების მოთხოვნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამეურნეო ან სამომხმარებლო აქტიურობას. მაგალითად, სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია საქართველოს გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, აგრეთვე წვრილი ინდივიდუალური ან ოჯახური მეურნეობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მცირე-მექანიზაციის ფართო გავრცელება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მეორე რგოლი — „რესურსები“, ანუ მიზნის რეალიზაციის საშუალებები, გულისხმობს მეცნიერული და საწარმო პოტენციალის არსებობას გარკვეული პროდუქციის გამოშვებისა და შემდგომი სრულყოფის პერსპექტივების უზრუნველყოფისათვის. ეს სფერო მოიცავს მეცნიერულ-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების დონის, ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული და საწარმო ბაზის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სპეციალისტების კვალიფიკაციის, კაპიტალდაბანდებათა საჭირო რაოდენობის, ფინანსური რესურსების და სხვა საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რგოლი არ წარმოადგენს პასიურს პირველის მიმართ, არამედ ხშირად, კონკრეტული პირობებიდან ან განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, თვითონ ხდება მისი განმსაზღვრელი. აღნიშნული და ორი დანარჩენი რგოლის გულმოდგინე ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი და პროგნოზი წამყვან როლს ასრულებს გამართლებული გადაწყვეტილების მისაღებად — შემოვიტანოთ ამა თუ იმ სახის პროდუქცია რესპუბლიკას გარედან, თუ ვაწარმოოთ ადგილობრივ.

დამამთავრებელი რგოლი — „ეფექტიანობა“ ასახავს ღონისძიებათა შედეგების შეფასებას ფართო სპექტრით, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ზრდა, ფასის ზელმისაწვდომობა მოხმარებისათვის, წარმოებასა და ექსპლოატაციაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის უზრუნველყოფა, საექსპორტო შესაძლებლობები, ხარისხის შემდგომი

სიახლეს ნუ დავაძველებთ

ლიკვიდაციისა და სრულყოფის პერსპექტივები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად და სხვა.

ცალკე უნდა გამოიყოს ეფექტიანობის სახე, რომელიც ახასიათებს ისეთ აუცილებელ ატრიბუტებს, თანამედროვე ინდუსტრიულ მსოფლიოში სახელმწიფოს სუვერენიტეტის განმტკიცების ინტელექტუალურ საფუძველს რომ წარმოადგენენ. ხშირად, გარკვეული მოსაზრებით ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოება საჭირო ხდება ადგილობრივად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა საკუთარი საჭირო ნედლეული და რესურსი, გარკვეული სპეციალიზებული მიმართულებების მიხედვით მაინც. საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკური დონის შენარჩუნება და განვითარება, ტექნიკური ინტელექტუალიზაციის სტიმულირება, მხოლოდ და მხოლოდ უშუალო და მიმდინარე მოშენტის ეკონომიკურ ეფექტში არ გამოვლინდება (რაც ჩვეულებრივ გამოწვეულია დამზადებული საქონლისა და ნაკეთობის უფრო მაღალი ფასით ნედლეულის ფასთან შედარებით, რითაც მთელ მსოფლიოშია სამაგალითო იაპონია). ეფექტიანობის შედეგი, მეორე მხრივ, აისახება საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკური დონის დამოუკიდებლობისა და კვალიფიკაციის ზრდაში, ეფექტიანობა ეხება ენერგეტიკას, მანქანათმშენებლობა, წიაღისეული რესურსების დამუშავება და სხვა. ჩვენ შევეხებით რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის სპეციალიზაციის ზოგიერთ ასპექტს, რომლის განვითარების ძირითად კონცეფციად მიგვაჩნია ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავებაზე ორიენტირებული დარგების (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო მანქანათმშენებლობის), აგრეთვე მეცნიერებათტევადი დარგების (ხელსაწყოთმშენებლობის, მიკროელექტრონიკის, ელექტროტექნიკის) პრიორიტეტული განვითარება და მანქანათმშენებელ საწარმოთა ორიენტაცია მცირე მასალატევადობისა და ენერგოტევადობის პროდუქციის გამოშვებაზე. მოცემული კონცეფციის რეალიზაციის პირობები უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის კრიტერიუმებს შემდეგი სქემის შესაბამისად: „მიზანი — რესურსები — ეფექტიანობა“.

სქემის პირველი რგოლი — — „მიზანი“ ასახავს გარკვეული დანიშნულების პროდუქციაზე საზოგადოების მოთხოვნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამეურნეო ან სამომხმარებლო აქტიურობას. მაგალითად, სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია საქართველოს გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, აგრეთვე წვრილი ინდივიდუალური ან ოჯახური მეურნეობების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, მცირე-მექანიზაციის ფართო გავრცელება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

მეორე რგოლი — „რესურსები“, ანუ მიზნის რეალიზაციის საშუალებები, გულისხმობს მეცნიერული და საწარმო პოტენციალის არსებობას გარკვეული პროდუქციის გამოშვებისა და შემდგომი სრულყოფის პერსპექტივების უზრუნველყოფისათვის. ეს სფერო მოიცავს მეცნიერულ-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების დონის, ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული და საწარმო ბაზის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სპეციალისტების კვალიფიკაციის, კაპიტალდაბანდებათა საჭირო რაოდენობის, ფინანსური რესურსების და სხვა საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რგოლი არ წარმოადგენს პასიურს პირველის მიმართ, არამედ ხშირად, კონკრეტული პირობებიდან ან განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, თვითონ ხდება მისი განმსაზღვრელი. აღნიშნული და ორი დანარჩენი რგოლის გულმოდგინე ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი და პროგნოზი წამყვან როლს ასრულებს გამართლებული გადაწყვეტილების მისაღებად — შემოვიტანოთ ამა თუ იმ სახის პროდუქცია რესპუბლიკას გარედან, თუ ვაწარმოოთ ადგილობრივ.

დამამთავრებელი რგოლი — „ეფექტიანობა“ ასახავს ღონისძიებათა შედეგების შეფასებას ფართო სპექტრით, როგორიც არის შრომის ნაყოფიერების ზრდა, ფასის ზელმისაწვდომობა მოხმარებისათვის, წარმოებასა და ექსპლოატაციაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის უზრუნველყოფა, საექსპორტო შესაძლებლობები, ხარისხის შემდგომი სრულყოფა, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გავრცელება, ეკონომიკური ეფექტიანობა, ეკოლოგიური ეფექტიანობა, ადამიანთა ჯანმრთელობა, ადამიანური ფაქტორი, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ინტერესები, ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ინტერესები, ეროვნული ფასეულობა, ეროვნული ინტერესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული კონგრესი, ჩვენი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

ასეთი მოწოდებით დღეს არაერთ გამოდის, მაგრამ არსებობს ეს სხვა ალტერნატივა, თუ ორი-სამ ადამიანი დავუშვით, თანაც იმ ურთულეს პირობებში, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა?

მიმაჩნია, რომ არც ერთ მაჟელიშვილს, ვინაც თავისი სამშობლოს, ოჯახის, შვილთა თუ შვილიშვილთა მომავალი აწუხებს, არა აქვს უფლება თვითდინებას მიეცეს, რადგან აქ საქმე მარტო მის პირად ცხოვრებასა და ინტერესებს არ ეხება.

ყველას ხარუნავი, რათა იგივე არ გავიმეოროთ, რაც 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისას დაუშვეს რუსეთის ინტელიგენციის დამონებულმა ხალხებმა, მათ უმეტეს, რომ დემოკრატიის ის საწყისებიც კი დაკარგეთ, რაც თუნდაც თებერვლის რევოლუციის შესვეურთ გაანდეთ.

მაშინ ორხელისუფლებიანობით ვითარებულმა და დაბნეულმა ხალხის მასებმა, საკუთარი მომავლის გადაწყვეტის საშუალება შეკვირცალ ლოზუნგებით აღბურვილ, ძალაუფლებას მოწყურებულ ფანატიკოსებს დაანება და, დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად, ახლად არჩეული უნენაესი საკანონმდებლო ორგანოც გაარეკინა.

უდავო ის არის, რომ მონური უსიტყვოთ გამსჭვალულმა საზოგადოებამ, თვითონ დაუშვა ჯერ შეუცნობელი თავისუფლების ხელყოფა და კიდევაც შეეწირა ამ საბედისწერო შეცდომას.

დემოკრატიას არაერთხელ უშვია უსასტიკესი ტირანია და თავობები შესწირავთ მის განმეორებით აღორძინებას. ამასთან, როგორც წესი, ტირანიის გაბატონებას დემოკრატიულ ძალთა ურთიერთდაპირისპირება ან ამის შედეგად ერთიანი ძალისხმევის დაკარგვა-დაძაბუნება უსწრებდა.

ობები, რათა უნენაეს საბჭოში სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი ის პროგრესული ძალები, რომლებმაც უნდა თავიანთ თავისუფალ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებამენტის შექმნა, მთელი ერის შემოქმედებითი უნარის გამოიყენება.

ვართ თუ არა გარანტირებული, რომ მხოლოდ ღირსეული მოხვდება უნენაეს საბჭოში? რასაკვირველია, არა.

არავის ძალუძს უკეთესთაგან საუკეთესოთა არჩევის გარანტიის მიცემა, თუნდაც იმიტომ, რომ სურვილი და პრაქტიკული შესაძლებლობები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

მაშასადამე, პოლიტიკური ინტერესებიც რომ გამოვრიცხოთ, შეცდომებს მაინც ვერ გამოვრიცხავთ და ამის გარკვევა მხოლოდ არსებითად ახალი უნენაესი საბჭოს რეალური მუშაობის კვალდაკვალ გახდება შესაძლებელი.

მთავარია, რომ არ შეეცდეთ ძირითადში, ანუ არჩეულთა უმრავლესობაში და, ვინაც ავირჩევთ, მათ ყველა ჩვენგანი დაეხმაროს იმ ურთულესი საკითხების გადაჭრაში, ჩვენი სამშობლოს წინაშე რომ დგას.

განმარტებას მოითხოვს ის დებულებაც, რომლითაც ეროვნული კონგრესი საკონსულტაციო ორგანად იქნა წარმოდგენილი მილიონობით ტელევაყურებელთა თვის, რადგან ეს იდეა უპირისპირდება თვით ოპოზიციის შინაარსსაც.

ცხადია, რომ კონსულტაცია მისაღებია კეთილგანწყობილ, ერთი მიზნის მომსახურე პირთაგან და, როგორც წესი, იმ ორგანოსაგან, რომელიც გადამწყვეტი ხმის მქონე უნენაეს ორგანოს გამგებლობაში შედის.

სხვა პირობებში ამას კონსულტაცია კი არა, დიქტატის მცდელობა ჰქვია და ამომრჩეველთათვის ძნელი გასარჩევი იქნება, ტუ რა ამოძრავებს კონსულტანტს: გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენების მიზანი, მცდელობა, რომ მას შეცდომა დაუშვებინოს იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელზეც თვითონ პასუხს არ აგებს, თუ ამომრჩეველთა ჭეშმარიტი ინტერესების რეალურ შესაძლებლობებთან შეთავსების გულწრფელი სურვილი.

ნიშნავს თუ არა ეს ოპოზიციის უარყოფას, ან თუნდაც უძლური თუ სუსტი ოპოზიციის სურვილს?

რასაკვირველია, არა. ოპოზიციას მხოლოდ მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ ის რეალურ ძალას წარმოადგენს, მაგრამ უსაგნო ოპოზიცია მხოლოდ ნებისმიერი პოზიტიური საქმიანობის ჩაშლის იარაღად მოგვევლინება. ის ფაქტი, რომ ჯერ ოპოზიცია იქმნება, შემდეგ კი ხელისუფლების ორგანო, რომელსაც ის უნდა დაუპირისპირდეს, ეტყობა, საეციალურ ახსნას მოითხოვს.

ერთი მხრივ, იქმნება მდგომარეობა, როცა თვით ოპოზიციური ორგანოს არჩევის ფაქტი უნდა გავიგოთ, როგორც მომავალი უნენაესი საბჭოსადმი წინასწარ გამოთქმული უნდობლობა.

მეორე მხრივ, ნათელი ხდება, რომ ოპოზიციური ორგანოს შემქმნელთათვის არა აქვს მნიშვნელობა, თუ რა პოზიციას დაიკავებს ხელისუფლების მომავალი უმაღლესი ორგანო. პირიქით, რამდენადაც ოპოზიციური ორგანოს შექმნა წინ უსწრებს იმ ორგანოს შექმნას, რომელთან დაპირისპირებაც ეროვნული კონგრესს არსებობის საფუძველს წარმოადგენს, გამოდის, რომ უკვე თავისი არსებობის გახამართლებლად, ის უნდა დაუპირისპირდეს მომავალი უნენაესი საბჭოს ნებისმიერ, თუნდაც ხალხისათვის ნამდვილად სასარგებლო გადაწყვეტილებას.

ყველამ, ვინაც ჩვენი სამშობლოს, ოჯახების, შვილთა თუ შვილიშვილთა ბედი გვაღელვებს, არ შეიძლება არ ვიფიქროთ იმაზე, რაოდენ რთულ პირობებში მოუხდება მუშაობა, თვისებრივად ახალ უნენაეს საბჭოს, როცა კომუნისტური რეჟიმის წლებში ჩვენი ეკონომიკა ისედაც უუამდე არის დაყვანილი და რკინიგზის ბაზის რამდენიმე დღით ბლოკირებამაც კი, თითქმის კატასტროფამდე მიგვიყვანა.

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ საბჭოეთში შემავალი ხალხების საარსებო რესურსები შეგნებულად ისე ნაწილდებოდა, რომ ვერც ერთ მათგანს ვერ უზრუნველეყოთ თავისი დამოუკიდებელი არსებობა მთელი ეკონომიკური სისტემის რეორგანიზაციის გარეშე, რისი დაუყოვნებლივ გაკეთებაც პრაქტიკულად შეუძლებელია და რის დაჩქარებასაც თავისთავად ერის მთელი შემოქმედებითი ძალების უკიდურესი დაძაბვა სჭირდება.

დიახ, იყო პერიოდი, როცა საქართველოს თუნდაც საკუთარი მარცვლეულითა და საქონლით გაჰქონდა თავი, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ამის შესაძლებლობა ობიექტურად გამორიცხულიყო.

სხვა სირთულეთა განხილვით თავს ადარ შეგაწყენთ, რადგან თუ პური ჩვენი არსობისა საძიებლად ეტყობა, მართლაც რომ ტიტანური ძალების ეაძაბვა მოუწევს ყოველ მამალიშვილს.

ანგარიშგასაწევია ნებისმიერი ერისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიების განხორციელებისას ლიტვის საწინააღმდეგოდ გამოყენებული ზომების ნაირსახეობათა რეციდივები, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი, ხელოვნურად გამძაფრებული ეთნოპრობლემებიც დაერთვის.

არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ დემოკრატიის გამოცდილების უქონლობასთან ერთად მომავალ უნენაეს საბჭოს არა მარტო მრავალპარტიული ხელისუფლების ორგანოს მუშაობის, არამედ საერთოდ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების გამოცდილებაც კი არ გააჩნია.

ამავე დროს არც იმის უგულებელყოფაა გამართლებული, რომ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასთან დაკავშირებით, უდავოდ ახალ ისტორიულ პირობებში, უნენაესი საბჭოს იმ შემადგენლობამაც კი, რომელიც პრაქტიკულად ერთპარტიული რეჟიმით დანიშნული დეპუტატებისაგან შედგება (ამას საფუძვლად ნურავინ მიიღებს და სადავოდ ნუ გახდის, რადგან ერთი კანდიდატისაგან ერთი დეპუტატის არჩევა არჩევნებად ვერ ჩაითვლება, რა განმარტებაც არ უნდა მივცეთ ამ ფაქტს), ისეთი ნაბიჯების

ორხელისუფლებიანობა და საოჯახო ომი

ჩვენი მდგომარეობა მით უფრო რთულია, რომ დემოკრატიული განვითარების გამოცდილება პრაქტიკულად ჩვენ წინაპრებსაც კი არ ჰქონიათ, რის გამოც მავანთათვის დემოკრატია მხოლოდ არსებული ხელისუფლებასთან ბრძოლითა და ძალაუფლების მოპოვებით განისაზღვრება.

გვაქვს თუ არა უფლება უნენო მისწრაფებებით ავსნათ ძალაუფლების მოპოვების ყოველგვარი მცდელობა და არ ვერეწმუნოთ მათ, ვინც გულწრფელად იბრძვის ამისათვის, სწორედ იმიტომ, რომ მზად არის შესწიროს თავი სამშობლოს კეთილდღეობას?

მიმაჩნია, რომ ეს ყოველად გაუმართლებელი პოზიცია იქნებოდა, მაგრამ კიდევ უფრო საზიანო და დამღუპველია იმისათვის თვალის არდება, რომ ერის გაძღოლა ყველა მსურველს არ ძალუძს და დემოკრატია სწორედ თავისუფალ არჩევანს ითვალისწინებს.

თუ სამშობლოს ბედი გვაწუხებს, ყოველ შემოთავაზებულ იდეას კი არ უნდა მივემხროთ, რაც პრაქტიკულად სრული ინერტულობის ტოლფასია, არამედ ჯერ გავიაზროთ, გავითავისოთ, გავერკვეთ მათ არსსა და მნიშვნელობაში.

მჯერა, რომ დღეისათვის ბევრ პოტენციურ ამომრჩეველს საერთოდ არ გაურკვევია ახალი, მრავალპარტიული უნენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის თანაფარდობა, მათი როლი ჩვენი სამშობლოს მომავლის უზრუნველყოფისათვის.

სხვამხრივ წარმოუდგენლად მიმაჩნია ამდენი ბრძოლა და თავდადება ახალი ტიპის მრავალპარტიული უნენაესი საბჭოს არჩევნების უფლების მოპოვებისათვის და წინასწარ ამ ისტორიული მონაპოვრის რეალიზაციამდე სხვა, ასევე საყოველთაო მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება მომავალ უნენაეს საბჭოსთან დაპირისპირებული ოპოზიციური ორგანოს შესაქმნელად.

ეროვნული კონგრესის იდეამ საკმაო ცვლილებები განიცადა და დღეს ის წარმოგვიდგინეს არა ალტერნატიული ხელისუფლების, არამედ საკონსულტაციო ორგანოს სახით, მაგრამ ერთი და იგივე წესით არჩეულ ორგანოთათვის სხვადასხვა ფუნქციების მინიჭება, მეტი რომ არა ვთქვათ, პირობითი ან მოჩვენებითი მნიშვნელობის შთაბეჭდილებას სტოვებს.

კონგრესის იდეა ახსნას მოითხოვს იმ შემთხვევაშიც, თუ ბოლომდე ვირწმუნეთ მისი მხოლოდ წინასწარ გამიზნული ოპოზიციური ფი თანაც საკონსულტაციო ხასიათი, უკვე იმ წინააღმდეგობის გამო, რაც ამ განსაზღვრასა წინააღრსიდან იკვეთება.

ჯერ ერთი, ვის მიმართ ოპოზიცია, ნუთუ იმ საეროვნოთო, მრავალპარტიული წესით ახარჩეს უნენაეს ხელისუფლების ორგანოსადმი, რომელიც ჯერ არ არჩეულა?

მაშ, როგორ ვირწმუნოთ, კონგრესის მხარდამჭერთ ჭეშმარიტად სურთ მომავალი უნენაესი საბჭო ნამდვილად მთელი ხალხის ნდობის ღირსი დეპუტატებით დაკომპლექტდეს?

უფრო უარიანია, არჩევნების ჩატარებამდე უკანონოდ ყველა ეროვნული ინტერესებით გამსჭვალულმა პარტიამ მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლ-

ბარია, ეტყობა, მართლაც რომ ერსაკონო ძალების ეაძაბვა მოუწევს ყოველ მამალიშვილს.

ანგარიშგასაწევია ნებისმიერი ერისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიების განხორციელებისას ლიტვის საწინააღმდეგოდ გამოყენებული ზომების ნაირსახეობათა რეციდივები, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი, ხელოვნურად გამძაფრებული ეთნოპრობლემებიც დაერთვის.

არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ დემოკრატიის გამოცდილების უქონლობასთან ერთად მომავალ უნენაეს საბჭოს არა მარტო მრავალპარტიული ხელისუფლების ორგანოს მუშაობის, არამედ საერთოდ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების გამოცდილებაც კი არ გააჩნია.

ამავე დროს არც იმის უგულებელყოფაა გამართლებული, რომ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებასთან დაკავშირებით, უდავოდ ახალ ისტორიულ პირობებში, უნენაესი საბჭოს იმ შემადგენლობამაც კი, რომელიც პრაქტიკულად ერთპარტიული რეჟიმით დანიშნული დეპუტატებისაგან შედგება (ამას საფუძვლად ნურავინ მიიღებს და სადავოდ ნუ გახდის, რადგან ერთი კანდიდატისაგან ერთი დეპუტატის არჩევა არჩევნებად ვერ ჩაითვლება, რა განმარტებაც არ უნდა მივცეთ ამ ფაქტს), ისეთი ნაბიჯების

პოლიტიკა

გარდამავალ პერიოდში, როცა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება არსებითად ახალ იერსახეს იღებს და რეალურად იკვეთება სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების პერსპექტივები, ბუნებრივია, ცალსახა და ერთ ყალიბში გამოყვანილი არ იქნება საზოგადოებრივი აზრი, მით უმეტეს, რომ მოახლოვდა საქართველოს უზენაესი საბჭოსა და ეროვნული კონგრესის არჩევნები და ვნებები, როგორც იტყვიან, დაიძაბა. ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციებიც ამ პლურალიზმის გამოხატულებაა. როცა არსებობს განსხვავებული აზრები და შეხედულებანი, როცა მოქმედებას წინ უსწრებს მოფიქრება, მაშინ შეუმცდარი ნაბიჯების გადადგმის მეტი შესაძლებლობაა. ეს მიგვაჩნია ალტერნატიული გვერდის უპირველეს გამართლებად.

ეროვნული კონგრესი, ჩვენი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

1. **უამრავი** კარდინალური, ერთმანეთთან გადაჯაჭვული პრობლემა დაუგროვდა საქართველოს — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური, სამხედრო, ეროვნებათაშორისი, დემოგრაფიული და სხვა. ცხადია, შექმნილ სიტუაციაში არსებულ ხელისუფლებას არა აქვს უნარი და შესაძლებლობა ყველა მათგანის გადაწყვეტისა. მიუხედავად იმისა, რომ ამას ობიექტური მიზეზებიც განაპირობებს, ეს მდგომარეობა მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთად აწვება საქართველოს მოსახლეობას, და, ყველა ჩვენგანის გონებრივ პრიზმაში გარდატეხილი, იგი ჩვენ მოქმედებასაც განსაზღვრავს. ფიზიკური პრიზმისგან განსხვავებით, ადამიანის გონებრივი პრიზმა გარდატეხის დროს, ჭეშმარიტად მაინც, ამ პრობლემების გადაჭრის გზებსაც ეძებს. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა სიღრმით ეზიარებს ამ გზებს, ინდივიდუალურად ადასებს მათ მნიშვნელობას და შეძლებისდაგვარად, თავისთვის სასარგებლოს ირჩევს. ამიტომ ამ საკითხებზე გულახდილი, ფართო მსჯელობა მეტად აქტუალურია.

ალბათ ამ კეთილშობილური მიზნით სვამს კითხვას ბატონი აკაკი ბაქრაძე გაზეთ „მამულის“ სექტემბრის ნომერში დაბეჭდილ სიინტერესო წერილში „ისტორიამ გამეორება იცის“. გვაპატიოს ავტორმა, მაგრამ ცოტა არაკორექტულია ხომ არ არის ზოგიერთი ამ, როგორც იტყვიან, ჩასაბერელი კითხვის დაყენება ჯერ ჩამოთვალიბებელი ეროვნული კონგრესის წინ, თანაც მის არჩევნებამდე. ორი კვირით ადრე? იდეალური პასუხებიც რომ მოინახოს ამ კითხვებზე, რუსთაველის საზოგადოების თვეში ორჯერ გამომავალი გაზეთი „მამული“ არჩევნებამდე მას ვერ დასტამბავს. ასე რომ, ნებსით თუ უნებლიეთ ბატონ აკაკი ბაქრაძის ეს თავისთავად სრულიად კორექტული კითხვები, საერთო დაბნეულობას იწვევს, ეროვნული კონგრესის მოწინააღმდეგეთა წიხქვილზე უშვებს წყალს. მით უმეტეს, რომ იგი და მისდამი რწმენაუნარული რუსთაველის საზოგადოება არ მონაწილეობენ ეროვნული კონგრესის არჩევნებში. თუმცა სასიხარულოა, რომ ამ საზოგადოების ერთი ნაწილი ერთ-ერთი თანათავმჯდომარის ჩათვლით პიროვნულად იღებს მასში მონაწილეობას.

აღნიშნულ წერილზე ჩემი ასეთი ნაჩქარევი გამოხმაურებაც იმით არის ნაკარნახევი, რომ საზოგადოებას არ შეექმნას მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს ეროვნული კონგრესის ქომაგთ არ ჰქონდეთ თავიანთი მოსაზრებები ინ კარდინალურ საკითხებზე, რომლებსაც სვამს ავტორი, და ამან გარკვეული უარყოფითი როლი არ შეასრულოს ეროვნული კონგრესის არჩევის საკითხში, რაც ხავსებით მოსალოდნელია, თუ გავითვალისწინებთ ბატონ აკაკი ბაქრაძისა და რუსთაველის საზოგადოების პოპულარობას. ცხადია, მე არა მაქვს ეროვნული კონგრესის იდეოლოგის პრეტენზია. ქვემოთ მოყვანილ მოსაზრებათა ნაწილი საკოორდინაციო ცენტრის ხხდომებზე და მის ქვეკომისიებშიც წინასწარ არის მოსმენილი, და თუ ისინი ფართოდ არ არის ცნობილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მიმართულებით საბოლოო აზრი ჯერ ჯერ ჩამოყალიბდა.

2. პირველი კითხვა დასმულია სომხეთის უკანასკნელი ტრაგიკული ამბების კონტექსტით და ასე ყალიბდება: „სულ მოკლე ხანში საქართველოში მოხდება ორი პოლიტიკური ინსტიტუტის არჩევა— ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოსი. რა ურთიერთმიმართება და დამოკიდებულება იქნება მათ შორის? პარლამენტალურად გაინაწილებენ ფუნქციებს თუ ერთმანეთს კრიჭაში იაუდგებიან?“.

ჩვენ მივიჩვიეთ, რომ ყოველ საბჭოურ სტრუქტურას თავისი მკცარი ჩარჩოები ჰქონდა და აქვს, და ამ კითხვაში ნაწილობრივ ჩანს ჩვენი აზროვნების ინერციულობა, როდესაც ასეთივე საწყაოთი ვუდგებით პირველად დემოკრატიულად ახარჩევ არასაბჭოურ სტრუქტურას — ეროვნულ კონგრესს. ამ უკანასკნელის ძირითადი ფუნქცია, რომელიც შეიძლება ამრიოორულად განისაზღვროს, გახლავთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია, და ძალზე ცდება, ვინც ამ ფუნქციას ჯერ ეროვნულ ვერ აფასებს. ეროვნულ კონგრესს უზენაეს საბჭოსთან კი არა, უფრო სახალხო ფრონტთან აქვს ბევრი საერთო. ეროვნული კონგრესის მომავალ სახეს კი განსაზღვრავს ყველა ჩვენგანი, როდესაც თითქმის ყველანაირი პლატფორმის მქონე ექვსი ბლოკიდან ხმამ მისცემს იმას, რომელიც მისთვის მისაღებია. ასე რომ, ამ პუნქტში დასმული კითხვის პირველ, უფრო რიტორიკულ ნაწილს შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ეროვნული კონგრესისა და უზენაესი საბჭოს ურთიერთობას განსაზღვრავენ ის პიროვნებები, რომლებითაც ჩვენ მათ დავკომპლექტებთ, ხოლო მეორე არსებით ნაწილზე კი პასუხი ასეთია: ვინაიდან უზენაეს საბჭოს არა აქვს ეროვნული მოძრაობის კოორდინაციის ფუნქცია, ხოლო ეროვნული კონგრესი არ აპირებს მთავრობის დანიშვნას, კანონების გამოცემას და სხვა მისთანებს, ამ ორ ორგანოს შორის ფუნქციების განაწილების საკითხი არ უნდა დადგეს.

ჩემი აზრით, ეს საკმარისად გავრცელებული გაუგებრობა ფუნქციების არევის საშიშროების, სიტყვა „კონგრესით“ არის გამოწვეული, ვინაიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში

ეროვნული კონგრესი, ჩვენი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

ლივ დამოუკიდებლობის გამოცხადებას, პრეზიდენტის არჩევას და მოსკოვთან კონფლიქტს, რამთა თავიდან აგვაცილოს ის პროცედურა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან გამოუსვლელობის კანონით არის ცნობილი. მე არ შევჩერდები ამ გზის დაწვრილებით განხილვაზე, მისი პერიპეტიები ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს და ყველამ კარგად იცის, პარადოქსულია, რომ მეორე გზა სრული დამოუკიდებლობის მიღწევისა, რომელიც ქართველმა „არაფორმალებმა“ შეიმუშავეს (სამწუხაროდ, მე არ ვიცი მყავს თუ არა ამ ქართულ გზას ერთი კონკრეტული ავტორი), ნაკლებად ცნობილია საქართველოს მოსახლეობისათვის. ეს გზა, ჩემი აზრით, ძალიან გონივრულად ცდილობს იმ უბედურებიდან, რომელიც ქართველ ხალხს თავს დაატყდა 1921 წელს, იმ კანონიერი (საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით) უფლებების მიღებას, რომლებიც თან ახლავს ოკუპაციას. ამ გზის შესაბამისად ჩვენ უნდა ვეცადოთ მოვიიოთოთ ანექსირებული ქვეყნის სტატუსი. ამიტომ, ჩემი აზრით, არ უნდა ვიხმაროთ სიტყვები პარლამენტი, პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭო და, რაც მთავარია, არ უნდა გამოვაცხადოთ, რომ თავისუფალი ერი ვართ. უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ჩვენ ზუსტად იმდენი გვაქვს თავისუფლება, რამდენიც მოსკოვს თავისი მიზნებისთვის სჭირდება. ამიტომ ხელახლა არ უნდა გავებათ იმ ხაფანგში, რომელიც დაგვიგეს „თავისუფალ ერთა“ კავშირის სახით. სანამ უკანასკნელი ოკუპანტი არ დატოვებს საქართველოს მიწას, ჩვენ არ შეიძლება ვიყოთ თავისუფალი და არა გვაქვს უფლება დავდოთ რაიმე პოლიტიკური ხელშეკრულება, თორემ დავანეკეთ საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც ისეც არ იყლავენ თავს რუსეთთან კონფლიქტით და, მით უმეტეს, „თავისუფალი ქვეყნის“ გულისთვის არ გააკეთებენ ამას. ჩვენ დღეს არსებობა გვინდა, და ამიტომ ოკუპირებული ქვეყნის თვითმმართველობის (უზენაესი საბჭოს) კარგად დაკომპლექტება საიმედო, მდგრადი ფსიქიკის მქონე, ავტორიტეტული პიროვნებებით დიდი საქმეა. თორემ ავანტაჟის ბრბოდ გადავიქცევთ, რომელსაც არც ერთი კანონით არ ეკუთვნის თავისუფლება. რაც შეეხება „ოკუპირებული ქვეყნის განთავისუფლებას, ამის მექანიზმები და პრეცედენტები უამრავია და ჩვენც უნდა ვისარგებლოთ ამით.

საკვირველია, რომ მეორე, მშვიდობიანი ქართული გზის მომხრეებს რადიკალებს უწოდებენ, ხოლო პირველი, ლტყვური გზის მომხრეებს — ზომიერებს, თუმცა სწორედ ამ გზასთან არის დაკავშირებული მოსკოვთან კონკლაობა, მისგან ბლოკადა და სხვ.

ეს გასხვლული გზები რომ ერთმანეთის გამომრიცხველი იყოს, მე, რასაკვირველია, ქართულ გზას ავირჩევდი. მაგრამ ვინც ღრმად ჩაიხედავს ამ ორი გზის განხორციელებაში, დაინახავს, რომ ჩვენ შეგვიძლია ორივე ამ გზით ვისარგებლოთ. ამისთვის

საჭიროა მოსკოვს კი არ ვეუყოლოჩინოთ და მათ პრეზიდენტს ჩვენი „პრეზიდენტი“ კი არ შეავსებედროთ (ეს, სხვა არა იყოს რა, სასაცილოა), არამედ მშვიდობიანად და მტკიცედ მოვითხოვოთ ოკუპანტების გაყვანა. სხვაგვარად არავისთან არავითარი პოლიტიკური შეთანხმების დადების უფლება თავისუფალი საქართველოს ხალხისთან არ უნდა მიითვისონ არც ოფიციალურმა ხაბჭოურმა ორგანომ — პარლამენტი ერქმევა მას, უზენაესი საბჭო თუ სხვა რამ, და არც არასაბჭოურმა ეროვნულმა კონგრესმა. თუ ამ ძირითად საკითხში თანხმობა იქნა, ეროვნულ კონგრესსა და უზენაეს საბჭოს შორის მოსახობა სერიოზული კონფლიქტის წარმოშობის ძირითადი მიზეზი.

3. „აპირებს თუ არა ეროვნული კონგრესი, არჩევის შემდეგ, ხელისუფლების მაგვარი ინსტიტუტის შექმნას, როგორიც არის მთავრობა. თუ არ აპირებს, მაშინ ვინ ან რა იქნება ის, რომელიც პრაქტიკულად განახორციელებს ეროვნული კონგრესის გადაწყვეტილებებს?“

ფაქტობრივად ამ კითხვის პირველ ნაწილზე უკვე ვუპასუხეთ — ეროვნული კონგრესი, არჩევის შემდეგ, მთავრობის ჩამოყალიბებას არ აპირებს. კითხვის მეორე ნაწილი, ჩემი აზრით, ამიტომ არის დასმული, რომ ახეთ შემთხვევაში ეროვნული კონგრესის როლი დააკნინოს, სინამდვილეში კი გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. მაინც, რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ეროვნულმა კონგრესმა, რომ მას მისი აღსრულებელი დასჭირდეს? ცხადია, იგი რაიმე მადაზიის გახსნას არ დაადგენს, ან სხვა ყოველდღიურ აუცილებლობას. ეროვნულმა კონგრესმა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ნაწილის მაკოორდინირებელმა ორგანომ, შეიძლება რაიმე აქცია

ილ ეკონომიკურ ვითარებას. მოიყენებს თავის სანქციებსაც, თუ ამ საქმეში ეროვნული კონგრესი არ იქნება უზენაესი საბჭოს მოკავშირე, თავად როგორ აპირებს ეკონომიკური კრიზისის შეკვლას? რა გეგმა აქვს?“

ეს თავისთავად მეტად აქტუალური კითხვები მოყვანილი ფორმით ორგზის მაერშია გამოკიდებული. ჯერ ერთი, ეროვნული კონგრესის პოზიციას განვსაზღვრავთ ყველა ჩვენგანი მის არჩევნებში ჩვენი ნების თავისუფალი გამოვლენებით. ასე რომ, არავინ იცის, როგორი იქნება ეროვნული კონგრესის პოზიცია, ისევე როგორც არავინ იცის, როგორი იქნება უზენაესი საბჭო და მისი პოზიცია, მე მაინც ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პრივატიზაციის ერთ კონკრეტულ საქმეს, რომელიც საკოორდინაციო ცენტრში ორჯერ განიხილეს, და მხოლოდ მისი ეკონომიკური ქვეკომისიის წევრთა სამართლიანი მოთხოვნის გამო, რომ განხილვაში საქართველოს წამყვან ეკონომისტებსაც მიეღოთ მონაწილეობა, არ იქნა მიღებული შესაბამისი დადგენილება. ეს სქემა უკვე იყო გადმოცემული გაზეთ „კომუნისტის“ 20 მაისის ნომერში.

ვიმეორებ, როგორები იქნებიან ეროვნული კონგრესი და უზენაესი საბჭო, დღეს არავინ იცის. ამიტომ გაურკვეველია, მიიღებენ ისინი ამ გზას ეკონომიკური კონკურენციის, ინიმიდელეგენციის ეროვნული ეკონომიკურ ვითარებას. მოიყენებს თავის სანქციებსაც, თუ ამ საქმეში ეროვნული კონგრესი არ იქნება უზენაესი საბჭოს მოკავშირე, თავად როგორ აპირებს ეკონომიკური კრიზისის შეკვლას? რა გეგმა აქვს?“

ეს თავისთავად მეტად აქტუალური კითხვები მოყვანილი ფორმით ორგზის მაერშია გამოკიდებული. ჯერ ერთი, ეროვნული კონგრესის პოზიციას განვსაზღვრავთ ყველა ჩვენგანი მის არჩევნებში ჩვენი ნების თავისუფალი გამოვლენებით. ასე რომ, არავინ იცის, როგორი იქნება ეროვნული კონგრესის პოზიცია, ისევე როგორც არავინ იცის, როგორი იქნება უზენაესი საბჭო და მისი პოზიცია, მე მაინც ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ პრივატიზაციის ერთ კონკრეტულ საქმეს, რომელიც საკოორდინაციო ცენტრში ორჯერ განიხილეს, და მხოლოდ მისი ეკონომიკური ქვეკომისიის წევრთა სამართლიანი მოთხოვნის გამო, რომ განხილვაში საქართველოს წამყვან ეკონომისტებსაც მიეღოთ მონაწილეობა, არ იქნა მიღებული შესაბამისი დადგენილება. ეს სქემა უკვე იყო გადმოცემული გაზეთ „კომუნისტის“ 20 მაისის ნომერში.

ვიმეორებ, როგორები იქნებიან ეროვნული კონგრესი და უზენაესი საბჭო, დღეს არავინ იცის. ამიტომ გაურკვეველია, მიიღებენ ისინი ამ გზას ეკონომიკური კონკურენციის, ინიმიდელეგენციის ეროვნული ეკონომიკურ ვითარებას. ეროვნული კონგრესის ბოლო ნაწილი, ჩემი აზრით, ამიტომ ეროვნული კონგრესის ეკონომიკურ ვითარებას. ეროვნული კონგრესის ბოლო ნაწილი, ჩემი აზრით, ამიტომ

4. „მიაჩნია თუ არა ეროვნულ კონგრესს მიზანშეწონილად პრეზიდენტის მმართველობის შემოღება? ეგულება თუ არა მას დღეს საქართველოში აკეი, რომელსაც თანაბრად დაუჭერდა მხარს უზენაესი საბჭოც და ეროვნული კონგრესიც? ჩემი აზრით, სწორედ ამ საკითხში კარგად გვაქვს საქმე. მე მგონია საქართველოში არიან პიროვნებები, რომელთაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ პროფესიაში (პროფესიული ჯუნგლი კი, მოგეხსენებათ, პოლიტიკურ ჯუნგლზე ნაკლებ გაუვალი არაა), შესაბამისად გამოვიდნენ მოსკოვში საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას — ცხრა აპრილის შეფასებისას და ანექსიის საკითხზე და, რაც მთავარია, თავისუფალნი არიან ცალკეული დაჯგუფებების ზეგავლენა გავლენისაგან. საკოორდინაციო ცენტრის ცალკეულ წევრებთან საუბარში დავინახე, რომ მათთვისაც სრულიად მისაღებია მათი კანდიდატურები.

5. „ეკონომიკური რეფორმის მკაფიო გეგმა, წესრიგი და შრომა ახსნის საქართველოს მოსახლეობული ეკონომიკური კატასტროფისაგან. ეს საქმე კი ახლა უზენაესმა საბჭომ და ახალმა მთავრობამ უნდა მოაგვაროს. რა პოზიციას დაიკავებს ამ საქმეში ეროვნული კონგრესი? ამოუდგება იგი მხარში ახალ უზენაეს საბჭოსა და მთავრობას თუ მოსწამოწყოს და მისი შემსრულებელი, მოგებსენებათ, ხალხია. ეს არის მისი ძირითადი ფუნქცია, და თუ იგი რაიმე სახარგებლო, დღესვე განსახორციელებელ პროექტს შეიმუშავებს, რაც, ჩემი აზრით, მისი მთავარი ფუნქცია არ არის, ამის შემსრულებელი, ცხადია, არსებული ოფიციალური ორგანოები იქნებიან. მაგრამ დავუბრუნდეთ ეროვნული კონგრესის ძირითად ფუნქციას — აქციების წამოწყებას. განა პატარა საქმეა ამ აქციებისა და მისი შედეგების კარგი გაანრების საშუალების შექმნა? თავი დავანებოთ სომხეთის მაგალითებს, განა „სამტრედიის აქციისთანა“ მოთხოვნების არადეკვატური წამოწყებები რომ აგვაცილოს ქართველ ხალხს, იმისთვის არ ღირს ეროვნული კონგრესის შექმნა? მე საერთოდ უკიდურესი აქციების მოწინააღმდეგე არა ვარ, მაგრამ ქართველი ხალხისთვის საჭირო ნივთებით დატვირთული მატარებლები დაიყენო სამტრედიიდან ადლერამდე იმისთვის, რომ ერთი კვირით (!) გადმოწყვეინო უზენაესი საბჭოს დანიშვნის თარიღი, გაუმართლებელია.

ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის იმ მინიმუმითაც კი, რომელიც მე მაქვს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელი ერისთვის საჭირო სწორი გადაწყვეტილებების მიღება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი აღმსრულებლის მონახვა — აღმსრულებელი საბჭოდან აქციასაც კი გამოუჩნდნენ.

4. „მიაჩნია თუ

უკსოჟეიჯი

საღამური იუწყება

26 სექტემბერი

● აშშ

ხელშეკრულებების რატიფიკაცია

ვაშინგტონი. ამერიკის კონგრესის სენატმა ხმა მიცა სსრკ-ს ბირთვული იარაღის დარგში ორი შეთანხმების რატიფიკაციას. 98 ხმით (წინააღმდეგი არავინ არ იყო) სენატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვისა და მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ბირთვული აფეთქების ხელშეკრულებებთან, აგრეთვე მათ ოქმებთან დაკავშირებით. ეს შეთანხმებები, რომლებსაც ხელი მოაწერეს შესაბამისად 1974 და 1976 წლებში, ავალდებულებენ მხარეებს, რომ მიწისქვეშა ბირთვული გამოცდების სიმძლავრე 150 კილოტონას არ აღემატებოდეს.

მართალია, მხარეები იცავდნენ ამ ხელშეკრულებათა დებულებებს, მაგრამ ისინი არ იყო რატიფიცირებული მათი შესრულების შემოწმების საკითხში უთანხმოებების გამო. მაგრამ 1987 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები შეუდგნენ მოლაპარაკებს კონტროლის აუცილებელი პროცედურის შემუშავების შესახებ, რომელიც შესაბამისი ოქმების მომზადებით დასრულდა. საბჭოთა კავშირისა და ამერიკის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს მათ 1 ივნისს ვაშინგტონის უმაღლესი დონის შეხვედრაზე.

შეერთებულ შტატებს, განაცხადა სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა ჯ. მიჩელმა, ახლა „შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ გამოცდების თვალყურის დევნება და შეთანხმებების შესრულების შემოწმება „შესაძლებელია“. მან მოუწოდა ადმინისტრაციას, დაუყოვნებლივ დაიწყოს ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის ყოვლისმომცველი შეთანხმების მომზადება.

თავის მხრივ, სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. პელმა აღნიშნა: „ახლანდელი თაობის წინაშე ჩვენი მორალური ვალია ბოლო მოვუღოთ „ცივი ომის“ ნაშთებს“. ჩვენ უნდა შევამციროთ, შემდეგ კი საერთოდ უარი ვთქვათ ბირთვულ იარაღზე, როგორც მშვიდობის შენარჩუნების საშუალებაზე. აუცილებელია არსებული პრობლემების სხვა გადაწყვეტების მოძებნა, რომლებიც უფრო მეტად დაეფუძნებიან ჩვენს გონებასა და სიბრძნეს, ვიდრე სასაცდილო იარაღს, ხაზი გაუსვა მან.

● ბონლოლეთი

შეგილნეს ლენინის ძეგლი

ულან-ბატორი. წუხელ უცნობმა პირმა აქ ვანდალიზმის აქტი ჩაიდინეს — წითელი სალებავი შეასხეს ვ. ი. ლენინის ძეგლს. სალებავიანი სამი მინის ჭურჭელი და პოლეთილენის პაკეტი დამსხვრეულია ძეგლის სხვადასხვა დონეზე და იგი ხისხლისფერი ლაქებით შეღება.

ოქტომბრის რევოლუციის ბელადის ძეგლი ორმოცდაათიან წლებში დაიდგა მონღოლეთის დედაქალაქის ცენტრში, მყუდრო სკვერში, და იგი აქამდე არავის არ შეუბილწავს. ახლანდელი შემთხვევა უკვე მეორეა წელს. რამდენიმე დღის წინ მის კვარცხლბეკზე დაღვარეს სალებავიანი ქილა.

მონუმენტის გვერდით მდებარე ცენტრალურ სასტუმრო „ულან-ბატორში“ მცხოვრებმა სტუმრებმა და ქალაქელებმა ღილით შებილწული ძეგლი რომ ნახეს, აღშფოთება გამოთქვეს ბარბაროსული აქციის გამო.

● ინდოეთი

ანტისანიტარია დონორთა ჯუნქტებში

დელი. ინდოეთის დონორთა პუნქტების 75 პროცენტზე მეტი ანტისანიტარიის ბუდეა — ასეთი დასკვნა გამოიტანა ჩრდილოეთ ინდოეთის ქალაქ ლაკნაუს სამედიცინო კვლევის ინსტიტუტის ექიმმა ჯგუფმა. ექიმიკოსებმა ფართოდ გამოიკვლიეს სისხლის შეგროვების პუნქტები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში, როგორც მსხვილ ქალაქებში, ისე პატარა დასახლებულ პუნქტებში, სოფლების ჩათვლითაც.

როგორც ოუნის სააგენტოს ჯგუფის ხელმძღვანელმა პროფესორმა ჯოლიმ განაცხადა, ინდოეთში ამჟამად იგრძნობა დონორის სისხლის მწვავე ნაკლებობა. თუმცა ყოველწლიურად ინდოეთში სჭირდებათ 5 მილიონი პირობითი დოზა სისხლი, მაგრამ აგროვებენ 1,5 მილიონ დოზაზე ოდნავ მეტს. ამის შედეგად წარმოიქმნება უდიდესი განსხვავება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რომელიც წარმოშობს დაუდევარ დამოკიდებულებას იმ ადგილების პერსონალის მხრივ სანიტარიის საკითხებისადმი, სადაც დონორები მიდიან. ამას კი ხელისუფალნი გულგრილად უყურებენ.

პროფესორი ჯოლი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ დონორობის პრობლემას ინდოეთში შეიძლება ყველაზე არასასიამოვნო შედეგები მოჰყვეს. რადგან დონორის სისხლის შეგროვების სისტემაში დონორთა ჯანმრთელობის შემოწმება პრაქტიკულად არ ხდება, ისევე როგორც არც თვით სისხლის ტესტირება, ამით არავითარი დაბრკოლება არ ექმნება იმ დაავადებათა გავრცელებას, რომლებიც სისხლით გადადის, მათ შორის შიდსისაც, ხაზგასმით აღნიშნა ექიმმა.



ფიგნები პარიზიდან

გნებავთ მიიღოთ დიდი ესთეტიკური სიამოვნება საუკეთესო წიგნთან შეხვედრით! მაშ, აუცილებლად ეწვიეთ გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზს, სადაც 25 სექტემბერს გაიხსნა ფრანგული წიგნის ექსპოზიცია. ეს არის საფრანგეთის ცნობილი გამომცემლობის „ლარუს ნატანის“ ბეჭდვითი პროდუქცია.

გადაუკარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გამოფენილი ყოველი წიგნი ხელოვნების ნიმუშია. ყდა, მხატვრული გაფორმება, ბეჭდვის ხარისხი, ქაღალდი, წიგნის გამოცემის ყველა ატრიბუტი — უმაღლეს დონეზეა შესრულებული. აქ ნახავთ მხატვრულ, სამეცნიერო ლიტერატურას, ალბომებს, ლექსიკონებს, ენციკლოპედიურ წიგნებს. 400-ზე მეტი ექსპონატი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის საფრანგეთის პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა თანამედროვე დონეზე.

გამოფენა უკვე იყო მოსკოვში, მინსკში, კიევში, ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. თბილისი — ბოლო პუნქტია, სადაც ერთი კვირის განმავლობაში იქნება ექსპონირებული ფრანგული წიგნი.

— ეს გამოფენა კიდევ ერთ ნათელ ფურცელს ჩაწერს ქართულ-ფრანგულ კულტურულ ურთიერთობაში, რომელსაც დიდი და მდიდარი ტრადიცია აქვს, — აღნიშნა გამოფენის გახსნისას საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ედუარდ სიხარულიძემ.

საფრანგეთის გამომცემლობის „ლარუს ნატანის“ ევროპის ბიუროს დირექტორმა ჟან პიერ ჟარზამ დიდი მადლობა მოახსენა შეკრებილთ გულთბილი მიღებისა და ფრანგული წიგნისადმი გამოჩენილი დიდი ინტერესისათვის.

✦✦

სურათებზე: საგამოფენო დარბაზში; გამოცემული ყოველი წიგნი ხელოვნების ნიმუშია.

(საქინფორმი).



გასტროლები

შემოქმედებითი ანგარიშით

უკვე ორი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქუთაისში თბილისის ოპერის თეატრის ფილიალი დაარსდა. ამ ხნის მანძილზე სამხატვრო კოლექტივმა მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურა, სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო.

ახლა კოლექტივს დამოუკიდებელი თეატრის სტატუსი აქვს და იგი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის სახელს ატარებს. კოლექტივი ამ წლიულს არსებობის ოცი წლისთავს აღნიშნავს. სწორედ ამ მოვლენას მიუძღვნა თეატრმა გასტროლები თბილისში. მასპინძლობს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრი. საიუბილეო საგასტროლო რეპერტუარს უმეტესად ეროვნული მუსიკის შედევრები წარმოადგენს. ესენია: ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, შალვა მშვილიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. მსმენელთათვის საინტერესო იქნება კიდევ ორი დადგმა — პ. ჩაიკოვსკის „იოლანტა“ და გ. დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური“.

25 სექტემბერს ქუთაისის საოპერო თეატრმა მაყურებელს პირველი საგასტროლო სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“ უჩვენა. პირველად ეს დადგმა ქუთაისის ფილიალში განხორციელდა 1969 წელს. რეჟისორი ეკუთვნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ვახტანგ ტაბლაოშვილს.

სიხარულის მომგვრელია ის ფაქტი, რომ ქუთაისელ მსახიობთა პირველმა სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა, რამაც დიდი წვლილი მიუძღვის აბესალომის პარტიის შემსრულებელს, საქართველოს სახალხო არტისტს ვაჟა კუბლაშვილს. მისი ტემბრი ახალგაზრდულად აჟღერდა როგორც სოლო, ისე საანსამბლო სცენებში. ვსარგებლობთ შემთხვევით და მომღერალს გვინდა მივულოცოთ სახალხო არტისტის საიუბილეო წოდების მინიჭება. მას ღირსეული პარტნიორობა გაუწიეს ახალგაზრდა მომღერლებმა ლუიზა ახალაძემ (ეთერი) და ბესიკ გაბიტაშვილმა (მურმანი). სპექტაკლის წარმატება გაიზიარეს ნ. კიკოლიაშვილმა (მარიხი), გ. კუბლაშვილმა (აბიო მეფე), ნ. სულამბერიძემ (ნათელა), ნ. გამყრელიძემ (ნანა), რ. კუბლაშვილმა (თანდარუხი) და თეატრის გუნდმა და მოცეკვავეებმა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მხატვარ თ. არსენიძის კოლორიტული კოსტიუმები და დეკორაცია.

ერთი სეზონიც არ არის, რაც თეატრს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი დირიჟორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ავთანდილ მამაცაშვილი, მისი დამსახურებაა, რომ დადგმა გამოირჩეოდა მაღალმხატვრულობით, ანსამბლურობით, კომპაქტურობით.

მაშ ასე, პირველი სპექტაკლი, მართლაც, შთაბეჭდავი აღმოჩნდა, ეს კი იმის საწინდარია, რომ ქუთაითურთა გასტროლები მაღალ დონეზე ჩაივლის. („კომუნისტის“ კორ.).

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „აბესალომ და ეთერი“.

ჯავარ ლომაძის ფოტო.



ნარიყალაზე ბაგრატოვანთა დროშა აფრიალდა

საქართველოს ისტორიის ორ მოვლენას — კრწანისის ომს, რომელიც უკანასკნელი ბრძოლა იყო საქართველოს სახელმწიფოს დროშით და ქართლ-კახეთის საშეფოს გაუქმების შესახებ იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტს დაუკავშირდა ბაგრატიონთა დროშის კურთხევა, რომელიც გაიმართა 25 სექტემბერს თბილისში სიონის საკათედრო ტაძარში.

...დღის 12 საათი. სიონის ტაძრის ეზოში შეიკრიბნენ საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის წევრები, თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ბაგრატიონთა შთამომავლები.

— აქ შეიკრიბეთ, თქვა ცერემონიის ინიციატორმა — კავშირის თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა, რათა აღგვედგინა ეს თარიღები, რომლებმაც ნეგატიურ გავლენა მოახდინეს ჩვენს შემდგომ ისტორიაზე.

დროშის კურთხევის შემდეგ პროცესია დაიძრა საკათედრო ტაძრიდან, გაიარა ქალაქის ძველი უბნები და ნარიყალასკენ გაემართა. ამიერიდან მის ყველაზე მაღალ კოშკზე იფრიალებს ფეთრი ჯვრებიანი დროშა და ჩვენი ისტორიის ფურცლებს გაგვახსენებს.

სურათებზე: ბაგრატოვანთა დროშის კურთხევა და მისი აღმართვა ნარიყალაზე.

ბიბი კიკვაძისა და პაატა პაატაშვილის ტექსტი და ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ადმინისტრაციის მისამართი: 380098, თბილისი-98, კოსტავას ქ. № 14.

მისალები: 93-95-54.

ინფორმაციის გასაფოფილება: 93-16-90.

წერილების გასაფოფილება: 93-95-69, 93-95-68.

გამოიწერეთ ეროვანი წლისთვის

გაზეთი „ცხოვრება და კანონი“, ჟურნალი „სახელმწიფო და სამართალი“

ტენდენციების ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე საკვანძო თუ კონკრეტულ იურიდიულ ფაქტებთან დაკავშირებულ საკითხებს; ოპერატიულად გამოხმაურება მოქალაქეთა საჩივრებს, განცხადებებს და წინადადებებს; გასწევს მოსახლეობის იურიდიული მნიშვნელობის საკითხებზე უფასო კონსულტაციებს.

ჟურნალი სისტემატურად გაჭიმოვანებს თეორიული ხასიათის მასალებს სამართლის სისტემის, იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგების მიხედვით, განიზოგადებს საგამოძიებო, სასამართლო და სამართალშეფარდებით საქმიანობის პრაქტიკას; საკანონმდებლო ინიციატივით შეუშავებელ სამართლებრივი აქტების პროექტებს მათი საჯარო განხილვისათვის, მოქმედი კანონმდებლობის მეცნიერულ კომენტარებს, დასტამბავს მემუარული ხასიათის ჩანაწერებს.

აღნიშნული გამოცემები გაანშუქებენ გაანალიზებულ ამა თუ იმ მნიშვნელოვან სასამართლო პროცესებს, მათ ფურცლებზე ტრიბუნა დაეთმობა დისკუსიებს პოლიტიკურ, იურიდიულ, ეკონომიკის, ეთიკის, სოციალური ცხოვრების თუ სხვა პრობლემებზე.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა აქტიურ მონაწილეობას მიიღებს გამოცემათა ქმნილებაში, რედაქციებს მიაწვდის კორესპონდენციებს, წერილებს ხალხისთვის საინტერესო საკითხებზე.

გაზეთ „ცხოვრება და კანონის“ თვიური ღირებულებაა (4 ნომრის) 1 მან. და 56 კაპ., სამი თვით — 4 მან. და 68 კაპ., ექვსი თვით — 9 მან. და 36 კაპ., ერთი წლით — 18 მანეთი და 72 კაპ.

ჟურნალ „სახელმწიფო და სამართლის“ თითოეული ნომრის ღირებულებაა 1 მანეთი.

საჭყონდიდო გვიმასპინძლებს

წინაპართა ოვაწლის დაფასება და პატივის მიგება შთამომავალთა წმინდათა წმინდა ვალი რომ არის, ამის გახსენება, სწავლება და შეგონება ქართველ კაცს არ სჭირდება. ამას იგი პურობის, სუფრის ჩვეულებრივ, უბრალო საყოველდღეო რიტუალშიც კი გამოხატავს. სწორედ ამ კარგმა ჩვეულმ, ტრადიციამ დაბადა მარტვილელთა სურვილი: წლეულს, 6 ოქტომბერს საგანგებოდ და გამორჩეულად აღინიშნათ გიორგი ჭყონდიდელის, ჩვენი უპირველესი მეფის დავით აღმაშენებლის მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთუპირველესის მოღვაწეობის 900 წლისთავი.

ეს დღე მარტო მარტვილის რაიონისა კი არა, მთელი ერის, სრულიად საქართველოს დღესასწაული იქნება. იგი ქართველი ხალხის ერთიანობის, ერის კონსოლიდაციის ზეიმად უნდა იქცეს. ასე ესახებათ დღესასწაული მოსამზადებელი კომისიის ხელმძღვანელს, რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვაჟა აბაკელიას და რესპუბლიკის სახალხო არტისტს ბორის წიფურიას, რომელსაც სანახაობრივი მხარის, აგრეთვე საერთო ხელმძღვანელობა აქვს მინდობილი.

ზეიმის პროგრამა საინტერესოდ არის მოფიქრებული და შედგენილი. მის მოსამზადებლად მოიწვიეს არქიტექტორები, მხატვრები, რეჟისორები. მიმდინარეობს რაიონის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები, ეწყობა პარკები, გაზონები, ყვავილნარები, დგამენ მხატვრულ დეკორატიულ ფარდულებსა და ჯიხურებს, მარტვილისა და მშვიდობის ქუჩებზე შეიცვალა განათების არმატურები, ქალაქის ტერიტორიაზე ყველა შენობა-ნაგებობა შეკეთდება და გალამაზდება, სახეს შეიცვლის მარტვილის ცნობილი მონასტრის ტერიტორია და თვით სამონასტრო კომპლექსიც. მონასტრის მიმდებარე პლატოზე აღიმართება გიორგი ჭყონდიდელის ძეგლი. ადგილი ისეა შერჩეული, რომ ეს ბრძენკაცი და ერის დიდი მოჭირნახულე საქართველოს ორ ულამაზეს კუთხეს — ამირეთისა და სამეგრელოს გადაჰყურებდეს.

დიდი სამზადისია რაიონის სოფლებშიც. ბანძის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ებრაელთა სალოცავის — სინაგოგის რესტავრაცია, გზებისა და სოფლის ცენტრის მოასფალტება, სამუშაოებია გაჩაღებული დიდ ჭყონში, აბედათში, ნაგვაზაოში... ყველა ეს სამუშაო მთელი რაიონის მშრომელთა აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.

მიხეილ მიქაძე,
ბორის ფოცხვერაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დანვრილებით მოთხოვნათა შესახებ

ჩვენს მკითხველებს აინტერესებთ ის მოთხოვნები, რომლებიც წამოყენებული იქნა მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ მოწყობილ, არჩევნებისადმი მიძღვნილ სახალხო მიტინგზე, თბილისის ეროვნულ სტადიონზე 1990 წლის 16 სექტემბერს.

ეჭერძოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალი მაგიდის წევრმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და ინდივიდუალურმა წევრებმა მოითხოვეს არაუგვიანეს 10 ოქტომბრისა საქართველოს ხელისუფლებამ გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნოს შემდეგი მონაცემები:

საქართველოს ბიუჯეტის დღევანდელი მდგომარეობა; წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავალი; საქართველოს ოქროსა და სავალუტო ფონდების ოდენობა; რესპუბლიკის ფულადი დავალიანება (თუკი ასეთი არსებობს); რა ღონისძიებას შეადგენს საქართველოს კომპარტიის მატერიალური ფასეულობანი და ჩამონათვალი ამ ფასეულობებისა; საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სრული სია; საქართველოს მართვის ბიუროკრატიული აპარატის შესანახი ხარჯები; საქართველოს სასურსათო პროდუქტებისა და საერთოდ ყველა სახის ნედლეულის სტრატეგიული მარაგის ოდენობა; არსებული ხელისუფლების ნომენკლატურულ პირთა პრივილეგიების სრული ნუსხა.

ხელი-ხელს

„თვისტომის“ საერთაშორისო კონფერენცია

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო საზოგადოება „თვისტომის“ პირველი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც განიხილეს რესპუბლიკის გარეთ მცხოვრებ ქართველებთან ურთიერთობის საკითხები.

ეს საზოგადოება ცოტა ხნის წინ შეიქმნა და უკვე პოპულარობით სარგებლობს. მისი მიზნები დაკავშირებულია ფაქიზ ეროვნულ ფენომენთან — საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებასთან.

„თვისტომის“ პირველი საერთაშორისო კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ამ საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა რევაზ მიშვილაძემ.

მან ვრცლად ისაუბრა დემოგრაფიულ პრობლემებზე, რომლებიც ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს, აგრეთვე ეროვნული ფენომენის გაძლიერების კონკრეტულ გზებზე.

ხალხმრავალ დარბაზში (უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება „თვისტომის“ წევრთა რიცხვმა ორიათასს გადააჭარბა), მოისმინეს გიორგი ჭიპაშვილის, ვახტანგ გურგენიძის, ვაჟა გუჯაბიძის, გიორგი ხუციშვილის, ალექსანდრე რონდელის მოხსენებები.

განსაკუთრებული ყურადღებითა და მოცეკვარბით მოისმინეს ამერიკელი ქართველების ეროვნული მოძრაობის უხუცესი მონაწილის ბონდო კელელიას გამოსვლა, რომელიც შეეხო ამერიკაში ქართველთა სათვისტომოს მუშაობას.

საინტერესო პრობლემები დააყენეს შოთა ნიშნიანიძემ, ფერეიდანიდან გადმოსახლებულმა რეზო მიქელაძემ, აკაკი მათიაშვილმა, რევაზ სალიამ.

დასასრულ, კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მმართველობა, რომელშიც აღნიშნულია საქართველოში დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის გზები.

იზა ჯაბვაძე.

„ზაფხულის“ დროის მოქმედების პერიოდის დამთავრების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა: „ზაფხულის“ დროის მოქმედების დასრულებასთან დაკავშირებით 30 სექტემბერს 3 საათიდან რესპუბლიკაში გადაიწიოს საათის ისარი ერთი საათით უკან.

(საქინფორმი).

გასწორება

მიმდინარე წლის 25 სექტემბრის ნომერში საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის მეოთხე გამოშვების მოგებათა ტირაჟის ცხრილში დაშვებულია შეცდომები, კერძოდ: სერია — 022284 — უნდა იკითხებოდეს სერია — 012284; სერია — 022296 — უნდა იკითხებოდეს სერია — 012296; სერია — 013493 — უნდა იკითხებოდეს სერია — 013793. სერია — 015090 №568 — უნდა იკითხებოდეს — №563. სერია — 025681 — უნდა იკითხებოდეს სერია — 015681.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

სტატისტიკამ ყველაფერი იცის?

ჭადრაკის ისტორიას არ ახსოვს ორი დიდოსტატის ისეთი შეპირისპირება, როგორიც გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის გაუთავებელი ორთაბრძოლაა. 1984 წლიდან მოყოლებული, ერთი მატჩი მეორეს მიჰყვება, ოთხი ასეთი ასპარეზობის შემდეგ ბევრი რამ გაურკვეველი დარჩა. და აი, 7 ოქტომბერს ნიუ-იორკში იწყება ამ „მუდმივი მეტოქეების“ ახალი, რიგით მეხუთე შეხვედრა. ზოგი ექსპერტი გვარწმუნებს, რომ ეს მათი უკანასკნელი შერკინება იქნება მსოფლიო პირველობაზე, თუმცა ვინ იცის?

სპორტულ ჟურნალისტებს უყვართ ასეთი გამოთქმა: „სტატისტიკამ ყველაფერი იცის“! იგი თითქმის აქსიომატურად არის მიჩნეული. ჩვენც მივყვეთ სტატისტიკურ მონაცემებს, შეიძლება მათ მაინც შეიტანონ ერთგვარი სიცხადე საკითხში, თუ რას უნდა ველოდეთ მომავალ მატჩში.

კასპაროვ-კარპოვის მეტოქეობის დაწყებამდე ყველაზე მეტი სამატჩო პარტია ერთმანეთთან მიზეილ ბოტვინიკსა და ვასილ სმისლოვს ჰქონდათ ნათამაშევი — 69. მაგრამ რა არის ეს რიცხვი კასპაროვისა და კარპოვის 120 სამატჩო პარტიასთან! ამასთან ამ ციფრს ხომ სულ ცოტა ხანში კიდევ ორ ათეულზე მეტი (თუ ყველა 24 არა!) შეხვედრა დაემატება.

ახლა გადავხედოთ ამ 120 პარტიას და შევეცადოთ მათ შედეგებში გარკვევას. პირველი, 1984-85 წლების მატჩი პირდაპირ გაუთავებელი, მარათონული გამოდგა და ბოლოს და ბოლოს შეწყდა ფიდეს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესის განკარგულებით, როცა ანგარიში იყო +5—3=40 კარპოვის სასარგებლოდ. მისი შედეგები გაბათილებულად ჩაითვალა. კასპაროვმა განაცხადა, კამპომანესის ასეთი უხეში ჩარევა რომ არა, იგი აუცილებლად მოიგებდა ამ მატჩს, რადგან მეტოქე სრულიად გამოფიტული იყო. კარპოვმა ასევე დაადანაშაულა კამპომანესი: იგი კარგად გრძნობდა თავს და ადრე თუ გვიან მოიგებდა იმ ბოლო, მეექვსე პარტიას, რომელიც მსოფლიო ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად სჭირდებოდა. მოდით და გაიგეთ ახლა, რომელი მხარეა მართალი!

მეორე მატჩში კასპაროვს უდავო უპირატესობა ჰქონდა და ამაში ეჭვი არავის შეუტანია. თუმცა შეხვედრა მეტად მძაფრი გამოდგა და ყველა, 24 პარტია გათამაშდა, ახალი მსოფლიო ჩემპიონის გამარჯვება დამაჯერებელი იყო: +5—3=16.

სულ მინიმალური უპირატესობა ჰქონდა კასპაროვს მესამე მატჩში. +5—4=15. საყურადღებოა, რომ აქაც ყველა, 24 პარტია გათამაშდა, რაც, რასაკვირველია, მეტოქეთა განსაკუთრებულ შეუპოვრობაზე მეტყველებს.

დაბოლოს, მეოთხე მატჩი 1987 წელს საერთოდ ყაიმით დასრულდა: +4—4=16. ისიც კარგად გვახსოვს, რომ კასპაროვმა მხოლოდ უკანასკნელი პარტიის მოგებით შეინარჩუნა თავისი წოდება.

ახლა ყველა, ოთხივე მატჩის შედეგები შევაჯამოთ. 120 პარტიიდან კასპაროვმა მოიგო 17, წააგო 16, 87 პარტია კი ყაიმით დამთავრდა. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ახლანდელი ჩემპიონი მინიმალური, ერთი ქულის უპირატესობით არის წინ.

ამ სამატჩო პარტიებს გარდა მეტოქეები სხვადასხვა დროს ტურნირებშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს. სულ 10 ასეთი პარტია გათამაშდა, საიდანაც კასპაროვმა მოიგო 2, წააგო 1, დანარჩენები კი ყაიმით დამთავრდა. ისევ მინიმალური უპირატესობა, ერთი ქულა.

ახლა სხვაგვარ მონაცემებს მივმართოთ — ეგრეთ წოდებულ „რეიტინგ-ლისტს“ (ძალთა შედარებით ნუსხას). ვნახოთ, როგორია მეტოქეთა ძალების შეფარდება ამ ცხრილის მიხედვით. რაც ფიდე ამ ცხრილს აწარმოებს და იუგოსლავიის ცნობილ ალმანახ „ინფორმატორში“ აქვეყნებს, იქ თავიდანვე კარპოვიცაა წარმოდგენილი. გასაგებია, იგი დასაწყისში ჩამოუვარდებოდა ფიშერს, სპასკის, კორჩნოის, ლარსენს, მაგრამ სისტემატურად აუჭრობესებდა მონაცემებს. 1980 წელს ამ ცხრილში 17 წლის კასპაროვიც გამოჩნდა. მას 2595 ქულა ჰქონდა, კარპოვს კი — 2725. ასეთი განსხვავება ყმაწვილ დიდოსტატსა და მსოფლიო ჩემპიონს შორის სრულიად ბუნებრივი იყო, თუმცა სჯობს, შედარებები გავაგრძელოთ. 1981 წელს — კასპაროვი — 2630, კარპოვი — 2700. 1982 წ. — კასპაროვი — 2675, კარპოვი — 2700. 1983 წ. — კასპაროვი — 2690, კარპოვი — 2710, 1984 წ. — კასპაროვი — 2715, კარპოვი — 2705. ამ წელს ახალგაზრდა დიდოსტატმა პირველად გაასწრო თავის მუდმივ მეტოქეს და ამ უპირატესობას დღემდე ინარჩუნებს. 1985 წ. — კასპაროვი — 2750, კარპოვი — 2715. 1988 წ. — კასპაროვი — 2760, კარპოვი — 2725. 1989 წ. — კასპაროვი — 2775, კარპოვი — 2750. და ბოლოს მეტოქეთა ახლანდელი კოეფიციენტი ასეთია: კასპაროვი — 2800, კარპოვი — 2730.

მკითხველი ყურადღებას მიაქცევს ერთ გარემოებას: კარპოვის კოეფიციენტი ძალიან მაღალია, მაგრამ მაინც მერყეობს, ხან უმჯობესდება, ხან რამდენადმე უარესდება, მაშინ, როდესაც მსოფლიო ჩემპიონი არა მარტო საგრძნობლად უსწრებს მას, არამედ საერთოდ არ იცის უკუსვლა — სისტემატურად უკეთესი ხდება. ისიც ვთქვათ, რომ კასპაროვისთანა მაღალი კოეფიციენტი ისტორიაში არავის ჰქონია. მან მოხსნა ფიშერის რეკორდი (2780).

ერთი სიტყვით, „რეიტინგ-ლისტის“ თვალსაზრისითაც „კასპაროვის უპირატესობაზე „შეიძლება ლაპარაკი.

დაბოლოს, კიდევ ერთ „რეიტინგ-ლისტზე“ შეიძლება ლაპარაკი, რომლის ავტორები სულაც არ არიან მოკლებული ლოგიკას. ამ „მათემატიკური რეიტინგის“ ავტორები, ინგლისელი დიდოსტატი რაიმონდ კინი და კანადელი პროფესორი ნათან დივინსკი ასე მსჯელობენ: რატომ ეგულისხმობთ ჩვენ რეიტინგის გამოთვლისას დიდოსტატების ყველა შეხვედრას, ხანდახან ხომ სრულიად უმნიშვნელო ძალის მოჭადრაკეებს უგებენ და ეს კი ყოველგვარ მნიშვნელობას არის მოკლებული. მოდით, ასე მოვიქცეთ (ამ შემთხვევაში) კასპაროვსა და კარპოვს ჩავუთვალოთ მხოლოდ ის პარტიები, რომლებიც მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან ითამაშეს. დიახ, მაგრამ საამისოდ საჭირო იყო მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების სიის შედგენა. კინმა და დივინსკიმ ეს გაიკეთეს კიდეც და აი, რა შედეგები მივიღეთ:

მხოლოდ მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების წინააღმდეგ თამაშისას კასპაროვმა 3096 ქულა მოაგროვა, რაც საერთოდ ყველაზე მაღალი შედეგია ჭადრაკის ისტორიაში. კარპოვი ამ მუდმივ ისტორიულ სიაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა (მესამეა ფიშერი), 2876 ქულით.

ერთი სიტყვით, ჩვენ სხვადასხვანაირი სტატისტიკური მონაცემები შევადარეთ და ყველა მფეროში კასპაროვს გარკვეული უპირატესობა აღმოაჩნდა.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ „სტატისტიკამ ყველაფერი იცის?“ და მატჩის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. ისტორიამ უამრავი მაგალითი იცის, როცა მსოფლიო პირველობის მატჩს იგებდა არა ფავორიტად, არამედ აუტსაიდერად მიჩნეული მოკადრაკე. ყველაფერს მაინც მეტოქეთა ამჟამინდელი მზადყოფნა გადაწყვეტს, რომელსაც შეუძლია ადრინდელ ანგარიშებს გადაუსვას ხაზი.

ამასობაში კი კასპაროვ-კარპოვის მეხუთე მატჩამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩა...

ბიბი გამრეკელი.

რედაქტორი
ბინდია უგრეხელიძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 88434

საქართველოს კპ ცკ-ის გამოცემა-ლობის ზრდის ეროვნული ორდენოსანი სტამბა, ქუთაისი, ჯანაშიას ქ. 14, იგივეა ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ოფლარაულის 29.